საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №108/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- და -- -- 2019 წლის 6 ივნისის №108 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის თქმით, მოსამართლე 2018 წლის 19 სექტემბრის და 20 სექტემბრის სხდომებზე ავლენდა დაუფარავ აგრესიას, უსაგნო პოლემიკას მართავდა მხარესთან სიტყვის წარმოთქმისას. ერთ ეპიზოდში იყურებოდა ჭერში და მეორე ეპიზოდში საქმის მასალებით იყო დაკავებული, რაც საჩივრის ავტორის თქმით, იმის დემონსტრირება იყო, რომ მოსამართლეს არ აინტერესებდა რაზე საუბრობდა მხარე და აღნიშნულით აყენებდა შეურაცხყოფას. 2018 წლის 20 სექტემბრის სხდომაზე მოსამართლე -- -- დარბაზში შესვლის მომენტიდან განაცხადა, რომ შეიძლება კონკრეტულმა ადვოკატმა შანტაჟით დააშინოს სხვა მოსამართლეები, თითის ქნევითა და მუქარით, მაგრამ მასთან არაფერი გაუვა. გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარის წარმომადგენლის -- -- მიერ ხელში ტელეფონის აღებას, მოსამართლის მხრიდან მოჰყვა აგრესიული ტონი, ყვირილი და დარბაზიდან გაძევებით დამუქრება.

მოსამართლემ აღნიშნულ პროცესზე სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოკუმენტებზე განაცხადა, რომ ისინი მხარის მიერ იყო გაყალბებული, ჩადენილი იყო დანაშაული მხარის წარმომადგენლის და სოციალური სამსახურის მიერ; მოსამართლე აგრეთვე დაეთანხმა მეორე მხარის განმარტებას, რომ სახეზე იყო ორგანიზებული დანაშაული, გაყალბდა დოკუმენტები და უკანონოდ მოხდა ბავშვის საზღვარზე გაყვანა.

მოსამართლე უპატივცემულობა გამოიჩინა მოსამართლე -- -- და -- -- მიმართ, როდესაც განაცხადა, რომ სასამართლოს განჩინებისა და განკარგულების შესრულება დანაშაული ყოფილა.

1.2. 2018 წლის 20 სექტემბერს 17:50 საათზე უნდა გამოცხადებული გადაწყვეტილება, მიუხედავად ამისა, მოსამართლემ სხდომა გახსნა 19:09 საათზე და დაასრულა 19:13 საათზე. სხდომა სულ რაღაც 4 წუთი გრძელდებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი მიუთითებს -- -- სასამართლოდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე, საიდანაც ჩანს, რომ 2018 წლის 20 სექტემბერს მოსამართლე -- -- ჩანიშნული ჰქონდა 8 სხდომა და აქედან ჩატარდა მხოლოდ 2 სხდომა, პირველი სხდომა დაიწყო 12:35 საათზე და დასრულდა 13:13 საათზე, ხოლო მეორე სხდომა დაიწყო 19:09 საათზე და დასრულდა 19:13 საათზე, თუმცა, რეალურად, მიკროფონის გამორთვის შემდეგ ისაუბრა დაახლოებით 40 წუთი, რა პერიოდშიც მოსამართლე წარმომადგენლის მიმართ საუბრობდა მიუღებელი, აგდებული ტონითა და ლექსიკით.

დაუფარავად უწევდა კონსულტაციას მეორე მხარეს. სხდომის გვიან დაწყებით, მოსამართლის მიზანი იყო გაეგდო დარბაზიდან -- --, მარტო დარჩენილიყო მეორე მხარესთან და გაეწია იურიდიული კონსულტაცია, ასევე, დაუბრკოლებლად ელანძღა მხარე და მისი წარმომადგენლები.

1.3. განცხადებით მიმართეს მოსამართლე -- -- და მოითხოვეს სხდომის ოქმის ელექტრონული და ბეჭდური ვერსიები, სხდომის მიმდინარეობის და იმ პერიოდის ამსახველი, როდესაც მოსამართლეს მიკროფონი ჰქონდა გამორთული, რაზეც დადგენილ ვადაში არ გაეცათ პასუხი. განცხადებით მიმართეს ასევე სასამართლოს თავმჯდომარეს და მოითხოვეს ვიდეო ჩანაწერების გადაცემა. საბოლოოდ მოსამართლე -- -- გადასცა ვიდეო ჩანაწერი, თუმცა იმ პერიოდზე, როდესაც ყოვლად მიუღებელ განცხადებებს აკეთებდა, მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედებით, ხმა იყო ამოჭრილი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2018 წლის 6 აგვისტოს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას არასრულწლოვანი შვილის - -- -- ინტერესების დაცვის მიზნით, სსიპ -- -- სააგენტოს -- -- -- ცენტრის -- -- სერვის ცენტრის თანამშრომლებისა და -- -- მიმართ დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე.

ამავე განცხადებით დროებითი ღონისძიების სახით მოთხოვნილი იქნა არასრულწლოვანი -- -- დედისაგან - -- -- განცალკევების შესახებ განკარგულების გამოცემა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 6 აგვისტოს განჩინებით, -- -- განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს - -- -- სასამართლოს.

სასამართლო მთავარი სხდომა საქმეზე გაიმართა 2018 წლის 19 სექტემბერს. სხდომის დასრულებისას გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დრო - 2018 წლის 20 სექტემბრის 17:50 საათი. -- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით, -- -- განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

-- -- წარმომადგენელმა -- -- 2018 წლის 21 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს -- -- და მოითხოვა 2018 წლის 20 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის სრულყოფილი ბეჭდური, აუდიო და ვიდეო ვერსიის გადაცემა.

-- -- წარმომადგენელმა -- -- 2018 წლის 21 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- -- და მოითხოვა 2018 წლის 20 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის სრულყოფილი ბეჭდური, აუდიო და ვიდეო ვერსიის შეძლებისდაგვარად მოკლე დროში ხელზე გადაცემა.

-- -- 2018 წლის 21 სექტემბერს ასევე განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს -- -- და მოითხოვა 2018 წლის 20 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის სრულყოფილი ბეჭდური, აუდიო და ვიდეო ვერსიის შეძლებისდაგვარად მოკლე დროში გადაცემა.

-- -- წარმომადგენელმა -- -- 2018 წლის 24 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს -- -- და მოითხოვა 2018 წლის 20 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის გადაცემა.

-- -- წარმომადგენელმა -- -- 2018 წლის 24 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- -- და მოითხოვა 2018 წლის 20 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის გადაცემა.

-- -- 2018 წლის 24 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს -- -- და მოითხოვა 2018 წლის 20 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის გადაცემა.

-- -- 2018 წლის 24 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- -- და მოითხოვა 2018 წლის 20 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის გადაცემა.

-- -- წარმომადგენლებმა -- --, -- --, -- -- და -- -- 2018 წლის 2 ოქტომბერს ერთობლივი განცხადებით მიმართეს -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- -- და მოითხოვეს 2018 წლის 20 სექტემბრის სასამართლო სხდომის ვიდეო ჩანაწერის ხარვეზების გარეშე გადაცემა, რადგან 2018 წლის 28 სექტემბერს გადაცემული ვიდეო ვერსია იყო ხარვეზიანი ფორმით.

2018 წლის 20 სექტემბრის სხდომის ამსახველი აუდიო ჩანაწერის თანახმად, სხდომა დაიწყო 19:01 საათზე და გაგრძელდა 19:14 საათამდე. საქმის მასალებში არ მოიპოვება ცნობა მხარეთა თანხმობის შესახებ, არასამუშაო პერიოდში გადაწყვეტილების გამოცხადებასთან დაკავშირებით.

2018 წლის 20 სექტემბრის ამსახველი ვიდეო და აუდიო ჩანაწერის თანახმად, მაშინ როდესაც მოსამართლე აცხადებდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, სხდომაზე ერთ-ერთმა მხარემ ხელში აიღო მობილური ტელეფონი, რაზეც მოსამართლემ ხმამაღალი ტონით მიმართა შემდეგი სიტყვებით: - „გაგაგდებთ დარბაზიდან, როგორ შეიძლება, თან კრეფთ... როგორ შეიძლება მობილურის გამოყენება გამოქვეყნების დროს...“

საქმეზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გაგრძელდა დაახლოებით 5 წუთი, რის შემდგომაც მოსამართლე მხარეებთან დარჩა და ესაუბრებოდა დაახლოებით 30 წუთი. აღსანიშნავია, რომ საქმეში არსებული სხდომის აუდიო ჩანაწერი წყდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ, ხოლო ვიდეო ჩანაწერი ხარვეზიანია წინადადებების გარჩევადობის კუთხით, თუმცა დასტურდება ის, რომ საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ, მოსამართლე დაახლოებით 30 წუთი ესაუბრა მხარეებს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რა პერიოდშიც მოსამართლესა და მხარეებს შორის საუბარი ზოგჯერ მიმდინარეობდა ხმამაღალი ტონით, აქტიური ოპონირების/კამათის რეჟიმში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 2 აგვისტოს დასკვნა:

-- -- და -- -- 2019 წლის 6 ივნისის №108 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.“

საკითხის შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ როგორც ეთიკის სტანდარტები, ასევე საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები. კერძოდ: სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია

უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ. ამასთან, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს უნდა სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან.[1]

ასევე, საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს(§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

საჩივრის ავტორთა მხრიდან კონკრეტული მტკიცებულებების წარმოუდგენლობის პირობებში, ისევე, როგორც სასამართლო სხდომების მიმდინარეობის ამსახველი ჩანაწერების მოსმენის შედეგად (გარდა 2018 წლის 20 სექტემბრის სხდომისა), ვერ იქნა იდენტიციფირებული მოსამართლის მხრიდან ისეთი ტიპის გამონათქვამი, მიმართვა თუ სხვა მოქმედება, რაც შექმნიდა შესაძლებლობას კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომაზე სამსჯელოდ, მათ შორის მოსამართლეთა მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის ფაქტი. ხოლო რაც შეეხება 2018 წლის 20 სექტემბერს სხდომას, რა დროსაც მოსამართლე -- -- გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მოსამართლის მხრიდან დაფიქსირებული ხმამაღალი ტონით მიმართვის ფორმა მხარისადმი, რომ გააძევებდა დარბაზიდან, ვერ ჩაითვლება მიმართვის თავაზიან ფორმად.

2018 წლის 20 სექტემბრის სხდომის ამსახველი ჩანაწერის ხარვეზის პირობებში, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დასტურდება, მოსამართლის მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა მხარეებისათვის გადაწყვეტილების შინაარსისა თუ მისი გამოტანის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ განმარტების ფარგლებს გადაცილებას.

ამასთან, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დრო დანიშნული იყო 2018 წლის 20 სექტემბრის 17:50 საათზე, მაგრამ ისე რომ არარსებობდა მხარეთა თანხმობა, სხდომა დაიწყო არასამუშაო დროს - 19:01 საათზე. უნდა აღინიშნოს რომ ზემოაღნიშნული გარემოება ვერ ჩაითვლება ისეთი ტიპის დარღვევად, რომელიც შესაძლოა დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალოს.

ასევე, განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ფაქტთან მიმართებაში საჩივრის ავტორები მიუთითებენ სხდომის ოქმის ჩანაწერების დადგენილ ვადაში გადაუცემლობასა და ჩანაწერებში ხმის დაზიანების ფაქტზე მოსამართლის ბრალეულობაზე, რასთან დაკავშირებითაც საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება. ამ კუთხით, კონკრეტული მტკიცებულება არც საჩივრის

[1] იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები გვ. 196

ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული ფაქტები შესაძლოა ფორმალურად შეიცავდეს მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების ნიშნებს, თუმცა, არც ერთ ამ შემთხვევაში მოსამართლის ქმედებებს არ გამოუწვევია რაიმე სახის ზიანი მხარისათის ფუნდამენტურ საპროცესო უფლებათა შელახვის თუ სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევის კუთხით.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №108/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი